

AN ANTHROPONYMIC MODEL IN GEORGIA: LINGUISTIC-CULTURAL PARADIGMS
(ACCORDING TO EPITAPHS)

ანთროპონიმული მოდელი საქართველოში. ლინგვო-კულტურული
პარადიგმები
(ეპიტაფიების მიხედვით)

David Shavianidze

Akaki Tsereteli State University Associate Professor,
Kutaisi, Georgia, Kutaisi, Tamar Mepe St #59.
Postal code: 4600, Georgia.
Number: 599-49-47-70.
e-mail: david.shavianidze@atsu.edu.ge
ATSU e-mail: info@atsu.edu.ge
<https://orcid.org/00000002-0568-1226>

Luiza Khachapuridze

Doctor of Philology, Akaki Tsereteli State University Associate Professor,
Kutaisi, Georgia, Kutaisi, Tamar Mepe St #59.
Postal code: 4600, Georgia,
Number: 577-66-86-01.
e-mail: luiza.khachapuridze@atsu.edu.ge
ATSU e-mail: info@atsu.edu.ge
<https://orcid.org/0000-0002-1991-2005>

Abstract. Ethnographic materials confirm the name given to epitaphs by the people – “tombstone inscriptions telling history”.

Epitaphs are the primary source through which we study: the anthroponymic system; linguistic features of anthroponymy; traditional Georgian and Christian religious names, the names reflecting the gender identity; cases of renaming from the maiden name to the husband’s surname.

The study of epitaphs proves that the anthroponymic model confirmed in the materials of almost all desktop enumerations and church (confessors’) books of the 19th century was not regulated by law in Georgia, but it was still strictly observed traditionally.

This approach continues into the 20th century. In most cases, it continues to this day.

Epitaphs are proof that in Georgian historical documents, the personality was not registered only by the three-part anthroponymic model. There were and still are plenty of cases of registering by name and surname, or only by name.

Epitaphs confirm the spread of officially legalized two-part anthroponymic model in Georgia.

In the epitaphs of the 19th century, there were cases when a woman was called not a spouse, but a wife. Sul Khan-Saba Orbeliani laid the foundation for the mentioned tradition of differentiating between the gender.

Epitaphs also confirm the use of gender-specific names distinguished by affixes (Ioane-Ioana, Alexander-Alexandra...).

The influence of the Russian language also contributed to the spread of the mentioned in epitaphs and in general.

Epitaphs on the tombstones preserved for us the anthroponymized easily recognizable Georgian words. There are also nicknames. Epitaph is represented by: the name; nickname; the name, nickname and surname.

Often the names with epitaphs are presented as a base, and dialectal features are highlighted in nicknames.

The two surnames inscribed on the tombstones of deceased women confirm that a woman kept her own surname after marriage, although she also assumed the surname of her husband.

The mentioned “artificially introduced product of the era” would lead to the disruption of that form of social relationship, which was called the dismantling of the rule determining exogamy, the violation of rights; direct belonging of a woman to another society, to a person.

The study of epitaphs confirms that the Russian form of address by the father's name was quite common in Georgia (Parmenich, Razdenich...).

We consider the study of epitaphs useful as they reflect the country's ethno-culture and language.

Key words: Epitaphs; Anthroponymic model; Linguistic-literary forms; Ethnocultural history; Traditional Georgian names and introduced by Christianity; Nickname.

დავით შავიანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის #59

საფოსტო ინდექსი: 4600, საქართველო

მობილურის ნომერი: 599-49-47-70

ელ. ფოსტის მისამართი: david.shavianidze@atsu.edu.ge

ელ. ფოსტა: info@atsu.edu.ge

<https://orcid.org/00000002-0568-1226>

ლუიზა ხაჭაპურიძე

ფილოლოგიის დოქტორი,

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

საქართველო, ქუთაისი, თამარ მეფის #59

საფოსტო ინდექსი: 4600, საქართველო

მობილურის ნომერი: 577-66-86-01

ელ. ფოსტის მისამართი: luiza.khachapuridze@atsu.edu.ge

ელ. ფოსტა: info@atsu.edu.ge

<https://orcid.org/0000-0002-1991-2005>

აბსტრაქტი. ეთნოგრაფიული მასალებით დასტურდება ეპიტაფიებისთვის ხალხის მიერ დარქმეული სახელი - „საფლავის ქვის მისტორიე დაწერილობები“.

ეპიტაფიები ის ერთი პირველწყაროა, რომლითაც ვიკვლევთ ანთროპონიმულ სისტემას; ანთროპონიმის ენობრივ მახასიათებლებს, ტრადიციული ქართული და ქრისტიანული რელიგიით შემოსულ სახელებს, სქესის აღმნიშვნელი სახელებს; ქალის მამაკაცის გვარზე გადასვლის შემთხვევებს.

ეპიტაფიების კვლევით დასტურდება, რომ XIX ს-ის თითქმის ყველა კამერალური აღწერის მასალებსა და საეკლესიო (აღსარების მოქმელთა) დავთრებში დადასტურებული ანთროპონიმული მოდელი საქართველოში სამართლებრივი თვალსაზრისით რეგლამენტირებული წესით არა, მაგრამ ტრადიციულად წესით მაინც მკაცრად იყო დაცული.

აღნიშნული მიდგომა გრძელდება მე-20 საუკუნეში. ძირითად შემთხვევებში გრძელდება დღემდეც.

ეპიტაფიები იმის დასტურიცაა, რომ ქართულ საისტორიო საბუთებში პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელით არ ფიქსირდებოდა. უხვად იყო და დღესაცაა სახელით და გვარით, მხოლოდ სახელით დაწერა-მოხენიების შემთხვევები.

ეპიტაფიებით დასტურდება საქართველოში ოფიციალურად დაკანონებული ორწევრიანი ანთროპონიმული მოდელის გავრცელების შესახებ.

მე-19 საუკუნის ეპიტაფიებით, იყო შემთხვევები, როცა ქალი იწოდება არა მეუღლედ, არამედ მეუღლად. სქესის გარჩევის აღნიშნულ ტრადიციას საფუძველი დაუდო სულხან-საბა ორბელიანმა.

სქესის აღმნიშვნელი, აფიქსის მემწეობით გარჩეული სახელების (იოანე-იოანა, ალექსანდრე-ალექსანდრა...) გამოყენების შემთხვევები დასტურდება ეპიტაფიებითაც.

აღნიშნულის ეპიტაფიებში და ზოგადად გავრცელებას ხელს უწყობდა რუსული ენის გავლენაც.

საფლავის ქვების ეპიტაფიები გვინახავენ გაანთროპონიმებულ ადვილად საცნობ ქართულ სიტყვებს. გვხვდება აგრეთვე მეტსახელები. ეპიტაფია წარმოდგენილია სახელით; მესტახელით; სახელით, მეტსახელითა და გვარით.

ხშირად ეპიტაფიებდართული სახელები წარმოდგენილია ფუძის სახით, მეტსახელებში კი გამოკვეთილია დიალექტური მახასიათებლები.

გარდაცვლილ ქალთა საფლავის ქვებზე დატანილი ორი გვარი ადასტურებს, რომ ქალი გათხოვების შემდეგ იტოვებდა საკუთარ გვარს, თუმცა ღებულობდა მეუღლე მამაკაცის გვარსაც.

აღნიშნული „ეპოქის ხელოვნურად შემოტანილი პროდუქტი“ გამოიწვევდა სოციალური ურთიერთობის იმ ფორმის მოშლას, რასაც ჰქვიადა ეკზოგამიურობის განმსაზღვრელი წესის ჩამოშლა, უფლებიანობის დარღვევა; ქალის უშუალოდ მიკუთვნებულობა სხვა სოციუმისადმი, პიროვნებისადმი.

ეპიტაფიების კვლევა ადასტურებს, რომ ქართულ სინამდვილეში საკმაოდ გავრცელებული იყო მამის სახელის რუსული მიმართვის ფორმა (პარმენიჩი, რაჟდენიჩი...).

ეპიტაფიების კვლევა საშურად მიგვაჩნია, რამდენადაც მათში ასახულია ქვეყნის ეთნო-კულტურა და ენის ისტორია.

საკვანძო სიტყვები: ეპიტაფიები; ანთროპონიმული მოდელი; ენობრივ-ლიტერატურული ფორმები; ეთნიკურ-კულტურული ისტორია; ტრადიციულ-ქართული და ქრისტიანობის მიერ მოტანილი სახელები; მეტსახელი.

შესავალი. მატერიალური და სულიერი კულტურის, ყოფითი ცხოვრების, ენობრივ მახასიათებელ-თავისებურებათა, ეთნოფსიქოლოგიის, რწმენით ცხოვრების ამსახველი ეპიტაფიების შესრულებას, ზოგადად საფლავის მოწყობის ტრადიციას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს საქართველოში.

ეპიტაფიები („საფლავის ქვის მეისტორიე დაწერილობები“), საფლავის ქვებზე დატანილი სხვადასხვა გრძნობად-აღქმადი ობიექტები უმნიშვნელოვანესი წყაროა ოჯახის, ინდივიდთა, საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის თვითშეგნების, ზოგადად საზოგადოებრივ და ეპოქებისთვის დამახასიათებელი ხედვა-ცოდნის, სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობის შესასწავლად.

მეთოდი. დაკვირვებისა და აღწერილობითი მეთოდები; შედარებითი ანალიზის მეთოდი; კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდი; ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.


შედეგები. დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულებში მოძიებული, „საფლავის ქვის მეისტორიე დაწერილობებით“ დადასტურებულ ადამიანის სახელებზე, მეტსახელებსა და გვარის მეორე მემკვიდრეობით სახელებზე დაკვირვება გვიდასტურებს ეპიტაფიების პრაქტიკული, ღრმად სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ. ირკვევა: ისტორიულად გავრცელებული ქართული სახელების ქრისტიანობის მიერ მოტანილი სახელებით ჩანაცვლების, ანთროპონიმული მოდელის, მისი მდგრადობის, ცვალებადობის, გვარის დანაყოფის სახელთა სუფიქსებით წარმოების საკითხები, სხვა ლინგვო-კულტურული პარადიგმები; სახელის, მამის სახელის არამართებული დაწერა-მიმართვის შემთხვევები; დაოჯახების შემდეგ ქალის მამაკაცის გვარზე გადასვლის სინამდვილე.

მსჯელობა. ყოველ საზოგადოებაში ფუნქციონირებს ანთროპონიმის სპეციალური სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებულია ერთდროულად, ერთი მხრივ, ენის სიტემით და მეორე მხრივ, სამართლებრივი ტენდენციებით“ (Milewski, 1959: 119). მილევსკის ამ მოსაზრებას ეთანხმება პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი და დასძენს, რომ სისტემების კვლევას აქვს არა მარტო ლინგვისტური და ეთნოისტორიული ასპექტები, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ქართული საისტორიო საბუთების გაცნობა გვარწმუნებს, რომ საქართველოში ისტორიულად გამოიყენებოდა სამწევრიანი ანთროპონიმული სისტემა. პიროვნებები ჩაიწერებოდნენ სახელით, მამის სახელით და გვარით. სამწევრიანი ანთროპონიმული მოდელი პირველად ქართულ ლაპიდარულ წარწერებში გვხვდება (შდრ. მეჯუდას ხეობის, ბიეთის ეკლესიის IX-X საუკუნეების წარწერა: „ქრისტე, მეუფეო ყოველთაო, ადიდე ერისთავთ-ერისთავი იოანე, ძე ბაკურ ყანჩაველისაჲ, უფალი და პატრონი ამისა წმინდისა ეკლესიისა, დაიცავ წმინდაჲ მრემლი სამებისა ყოველი“ (შოშიაშვილი, 1980: 193). ცნობილია ისიც, რომ ანთროპონიმული მოდელის სამივე წევრის გამოყენება სამართლებრივი თვალსაზრისით, რეგლამენტირებული წესით არა, მაგრამ მაინც მკაცრად იყო დაცული XIX ს-ის თითქმის ყველა კამერალური აღწერის დავთარსა და საეკლესიო (აღსარების მთქმელთა) დავთრებში (თოფჩიშვილი, 1997: 171).

საისტორიო დოკუმენტებით დადასტურებული სინამდვილე: ა. ძველად ქართულისთვის ჩვეულებრივი იყო სახელი და ნათესაობით ბრუნვის ფორმიანი მამის სახელი და არა როგორც სოციალური ფუნქციით (მსჯელობისათვის იხილეთ: კალაძე, 1984: 310-311); მიმართვის ფორმები - ივანე ხოსიკის ძე; დავით აბალოს ძე... შემორჩენილი იყო საქართველოს მთაში და ეს ალექსი ჭინჭარაულის აზრით ნაშთია ძველი ქართული სახელდების წესისა, რომლის უძველესი ნიმუშები შემორჩენილი გვაქვს უძველეს ლიტერატურულ ძეგლებსა და სახარების ტექსტებში (ჭინჭარაული, 1987: 324). ბ. ანთროპონიმული მოდელი, როგორც ენობრივი და ისტორიულ-ეთნოლოგიური მოვლენა სიმყაროდან გამომდინარე ნაკლებ დინამიკური იყო.


ჩვენეული ეპიტაფიები ეხმიანება აღნიშნულ სინამდვილეს, რომ საქართველოში ძირითადად დომინირებდა ქართული ანთროპონიმის სამწევრიანი სისტემის გამოყენების წესი. იგი სტაბილურად გრძელდებოდა მე-20 საუკუნეში და რიგ შემთხვევებში გრძელდება დღემდე.



დილიკაური სასაფლაო



დაფნილის სასაფლაო



აბედათის სასაფლაო

ჩვენ მიერ აღწერილ სინამდვილეს გარდა ოფიციალური დოკუმენტებისა და ეპიტაფიებისა ამყარებს ეთნოგრაფიული მასალებიც:

„ძველად ადამიანს ძირითადად მიმართავდნენ სახელით და მამის სახელით. მიმართავდნენ ქართულად. მერე ეს ქართული ფორმა რუსულით ჩავანაცვლეთ ზეპირ მეტყველებაში“ (მთხრობელი ვ. ჩიტბე. ოკრიბა, სოფ. ორპირი. 1998).

„ნენეების თქმით მამის სახელსაც გამოიყენებდნენ მიმართვისას სახელთან ერთად. მერე თურქი მევდა, მერე რუსი და ეს ქართული წესი მიივიწყა“ (მთხრობელი რ. რომანაძე. აჭყვისთავი. 2013).

მამის სახელით მიმართვა სახელთან ერთად ბევრ რაიმეს ადასტურებდა. სხვა რომ არა შეახსენებდა, რომ უნდა მოესმინა; ერთგვარად აფრთხილებდი; შენ პატივისცემას უდასტურებდი; ვინაობას, ძირს და ძველს ახსენებდი. ბევრი მნიშვნელობა ჰქონდა დადებითი. ახლა ვივიწყებთ საუბარშიც. უკვე გავვიუქმეს მამის სახელის მოხსენიება სხვათა წახედვით“ (მთხრობელი ა. გოლეტიანი. ნაკურალეში. 2017).

თუმცა პიროვნებები ისტორიულად მხოლოდ სახელით, მამის სახელით და გვარით არა ფიქსირდებოდნენ.

ქუთაისის მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა ეკლესიის გალავანში დასაფლავებულია - აზნაური გიორგი კანდელაკი. გარდაიცვალა 1883 წელს 50 წლის ასაკში (ნიშნინაძე, კუპრაშვილი, კეზევაძე, თავბერიძე & წვერავა, 2022: 247).

ქუთაისის მთავარანგელოზთა ტაძარის გალავანში დასაფლავებული არიან: აზნაური კონსტანტინე იოსელიანი; აზნაური სტეფანე ლოლუა; აზნაური საბა კლდიაშვილი; თავადი ნიკოლოზ აბაშიძე - ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავი (ნიშნინაძე, კუპრაშვილი, კეზევაძე, თავბერიძე & წვერავა, 2022: 251).

ვიზიარებთ, მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ საქართველოში გაუთვითცნობიერებელი ადამიანების კონსულტაციით ოფიციალური და არაოფიციალური, იურიდიული და არაიურიდიული დოკუმენტებიდან ამოღებული იქნა მამის სახელი (თოფჩიშვილი, 2005: 327).


იჩვენებს, რომ საფლავის ქვებზე ჯერ მასიურად ვერ აისახა, თუმცა ფეხს იკიდებს დღეს უკვე ოფიციალურად აღიარებული ორწევრიანი მოდელი.



დიდგელას სასაფლაო

ქალის მეუღლე მამაკაცის გვარზე გადასვლის შემთხვევები.

დასავლეთ საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში გვხვდება გარდაცვლილ ქალთა საფლავის ქვები, რომელზე დატანილი ორი გვარი ადასტურებს, რომ ქალი გათხოვების შემდეგ იტოვებდა საკუთარ გვარს, თუმცა ღებულობდა მეუღლე მამაკაცის გვარსაც.



ქუთაისი



კეთილარის სასაფლაო

საფლავის ქვებზე იკითხება: 1. ქალის სახელი და მამის სახელი; 2. გათხოვილი ქალი: ა. მეუღლე ქმრის გვარით; ბ. საკუთარი და ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მეუღლე ქმრის გვარი; 3. ქალის სახელის და მამის სახელის ინიციალები და მეუღლე ქმრის გვარი.



აჭარა



გორდის სასაფლაო

ივლია სისოს ასული სიორდია ზივზივადისა. საჩუქრად მეუღლე მანაველისაგან 1905-1961 (სოფელი დიდველა).

ედუკი ისიდორეს ასული ქვაჩაკიძე ბაბუნაშვილისა 1895-1977 (სოფელი დიდველა).

... ამა ლოდსა ქვეშე მდებარეობს გოგსადის შვილი გოგობერიშვილის მეუღლა. გარდაიცვალა ჩყა წელსა (ამბროლაურის რაიონ, სოფელ აგარის სასაფლაო)

შვილი ვიყავი ყიფიანისა ჯერ გაუგები სოფლისა მეუღლე ნესტორ მომცემლიძის, ასული ყიფიანისა. ლოდი ესე დავდე 188 [ბოლო ციფრი წაშლილია] (ამბროლაურის რაიონი სოფ. აგარა)

ამბროლაურის რაიონის სოფელ აგარას სასაფლაოზე დევს ქვა რომელზეც წარწერილია მეუღლე ქალის და მეუღლე მამაკაცის სახელები: აზნაური ნიკოლოზ დავითის ძე მომცელიძე და ნიკოლოზის მეუღლე კანდელაკის ასული

ც.გ. გოქსაძე 1871-1965 (სოფელი მუხიანი).


ნათია დავითის ასული პერანძე - სხილაძე 1987-2009 (სოფელი დილიკაური).

აქ განისვენებს მხევალი მღვთისა მაშვიკო ნიკო ათიას ასული მეუღლე ნიკოფორე გერადისა გარდაიცვალა 1920 წელსა აპრილის 19 დღესა შობიდან იყო 28 წლისა ღმერთმა აცხონოს (სოფელი დაფენილი).

1885 წელი - ქეთო ივლიანეს ასული მეუღლე ფილომან გერადისა 20 წლის გარდაიცვალა (სოფელი ბაში).

1913 წ.- ოლღა გერასიმეს ასული ბაშალეიშვილი იყო 1 წ მარტის 20 დღესა (სოფელი ბაში). **ეთნოგრაფიული მასალა:** ბაშში მოგროვილი ეთნოგრაფიული მასალით, ბავშვებს, რომლებიც ჩვილ ასაკში გარდაიცვალნენ ჯვრებზე გამოსახავდნენ.

XIX საუკუნის ათი-ოციანი წლებიდან, როცა დაიწყო მეტრიკული წიგნების წარმოება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში წესად იქცა ქალის გვარის მოხსენიება მხოლოდ და მხოლოდ დაქორწინებამდე, ჯვრისწერისას. ამის შემდეგ კი ისეთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში, როგორც შვილის დაბადების და ნათლობის მოწმობა იყო (სხა დოკუმენტებშიც), გვართ მოიხსენიებოდა მხოლოდ მამა, დედა კი სახელით, როგორც მეუღლე X-ის. გარდაცვალების მოწმობაში კი ქალი მოიხსენიებოდა, როგორც მეუღლე X-ის, სახელით და მამის სახელით.



მეტროპოლიტის წიგნი წლისა					
პირი, რომელიც გარდაცემულ დასახელებს	მთელი და არსები	წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი გარდაცემულისა	წელი გარდაცე- მულისა	წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი	ჩასაგან გარდაცემული
1	6 8	გვარამია ვახტანგის ძე გვარამია ვახტანგის ძე	84	გვარამია ვახტანგის ძე	გვარამია ვახტანგის ძე
2	13 15	გვარამია ვახტანგის ძე გვარამია ვახტანგის ძე	23	გვარამია ვახტანგის ძე	გვარამია ვახტანგის ძე
3	29 31	გვარამია ვახტანგის ძე გვარამია ვახტანგის ძე	22	გვარამია ვახტანგის ძე	გვარამია ვახტანგის ძე

საფურცელი				საბეჭდო	წილი, სახელი, მისი სახელი და გვარი შრომის და დაბეჭდვისას.
საფურცელი დაბეჭდვისას.	საბეჭდო	საბეჭდო	საბეჭდო	საბეჭდო	საბეჭდო
მამია სქოსია.	მამია სქოსია.	მამია სქოსია.	მამია სქოსია.	საბეჭდო	საბეჭდო
3	3	3	3	საბეჭდო	საბეჭდო
11	11	11	11	საბეჭდო	საბეჭდო

მეტრიკული წიგნი ზე წლისა.					
ძარცვა კორწენე ბაია.	თვე და დღე.	წოდება, სახელი, მამის სახელი, გვარი და სარწმუნოების აღსაქმე სსსსსს და რომლის კორწენება.	წოდება, სახელი, მამის სახელი და სსსსსს სანი.	წოდება, სახელი, მამის სახელი და სარწმუნოების აღსაქმე სსსსსს და რომლის კორწენება.	წოდება სსსსსს სანი.
1	იანვარი 26	გვარები შვიტოვანი გიმარაძე შვიტოვანი შვიტო-შვიტოვანი სახმუნდებელი კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი	გვარები შვიტოვანი გვარები ივანოვი ბილოვიანი შვიტო კოსტოვანი შვიტო შვიტოვანი სახმუნდებელი კოსტო კოსტოვანი კოსტოვანი	კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი	29
		შვიტოვანი შვიტოვანი	კოსტოვანი კოსტოვანი	კოსტოვანი კოსტოვანი	23
2	იანვარი 26	გვარები გვარაძე გვარაძე გვარაძე შვიტო-შვიტოვანი სახმუნდებელი კოსტო კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი	გვარები გვარაძე გვარაძე გვარაძე შვიტო-შვიტოვანი სახმუნდებელი კოსტო კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი	გვარები გვარაძე გვარაძე გვარაძე შვიტო-შვიტოვანი სახმუნდებელი კოსტო კოსტოვანი კოსტოვანი კოსტოვანი	28
		გვარაძე გვარაძე	გვარაძე გვარაძე	გვარაძე გვარაძე	22

მედავითნის გრიგოლ შავიანიძის ქვრივი, ევდოკია შავიანიძე თხოვს სასულიერო სასწავლებლის მმართველობას სასწავლებელში უმცროსი ვაჟის, დავით გრიგოლის ძე შავიანიძის ჩარიცხვას საშუალო განყოფილებაზე.

საბუთზე არის ნაუმ გრიგოლის ძე შავიანიძის ხელმოწერა. შემდგომში ქუთათელი-გაენათელი მიტროპოლიტი ნაუმი საკუთარი ხელმოწერის მიზეზად ასახელებს დედის (ევდუკია შავიანიძის) თხოვნას „მისი უწერლობის გამო“, ანუ წერის არ ცოდნას.

საბუთი თარიღდება 1910 წლით. დავსძენთ იმასაც, რომ ედუკის საკუთარი, მამისეული გვარი იყო გომბეტელიანი. ასე რომ გამოვრიცხავთ მისგან საეკლესიო აზნაურის გვარ შავიანიძის მიღებას სოციალური მდგომარეობის შეცვლის მიზნით.

ქართულ გვარსახელს არა მხოლოდ სოციალური, არამედ სულიერი დატვირთვაც აქვს; ტრადიციული ქართველის მენტალობაში გვარი გაიგივებულია ერთობასთან; გვარსახელის უმთავრესი ფუნქცია-მახასიათებელი ეგზოგამიურობის დაცვაა.

საისტორიო მონაცემებისა და ეპიტაფიების შედარებიდან და კომპლექსური კვლევიდან გამომდინარე მიგვაჩნია: ა. დაოჯახების შემდეგ ქალის გადასვლა მეუღლის გვარზე რუსთაგან მომარჯვებული ის „საშუალება“ იყო, რომელიც ჩამოშლიდა ქართველთა ცხოვრების უმნიშვნელოვანეს წესს. ქალის მეუღლის გვარზე გადასვლა დროის განმავლობაში გამოიწვევდა გვარის მთავარი ფუნქციის -ეგზოგამიის მოშლას, შესაბამისად სისხლის შერევას.

ჩამოიშლებოდა ხელოვნური ნათესაობის „მოყვრობით“ სახელდებული ინსტიტუტიც.

მიგვაჩნია, რომ ქალის გადასვლა მეუღლე მამაკაცის გვარზე, დროში გამოიწვევდა სოციალური ურთიერთობის ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმის მოშლას. კერძოდ, შედეგად მივიღებდით ქალის უშუალოდ მიკუთვნებულობას სხვა სოციუმისადმი, პიროვნებისადმი.

ბ. რუსობის პერიოდიდან გავრცელებული, ქალთა მამაკაცი მეუღლის გვარზე გადასვლის დამკვიდრებულმა წესმა შედეგად მოგვცა ის, რომ სრული შემადგენლობა არა, მაგრამ ქალთა დიდი ნაწილი გადადის მეუღლე ქმრის გვარზე. აღნიშნული წესი აქტიური იყო დაახლოებით XX საუკუნის შუა პერიოდამდე იყო.

ქალის მეუღლე მამაკაცის გვარზე გადასვლის წესად მიღების საქმეში არ გამოვრიცხავთ ქართველის „ხელოვნებასაც“. **ივანოვა ვასილიევა** ვთარგმნეთ პირდაპირ, გადმოვიტანეთ რუსული შინაარსი და მივიღეთ, მაგალითად: **ბიბილეიშვილი შავიანიძისა, ან ბოჭორიშვილი შავიანიძისა და ა.შ.**

ადამიანის პიროვნული სახელებისა და მეტსახელების ეპიტაფიებით კვლევა:

ეპიტაფიებით შემონახულია ქართული და უცხოური სახელები და მეტსახელები: **სოლომონი, ფიქრია, „ჯუკა“, ლადო, აბესალომი, ზამირა, ფრიდონი/„ფელია“, იულონი, ელენა, შოთა, ვალერიანი, ჯემალი, მაშრო, ტრიფონი, სტეფანე, თებროლე, ბათლომე, ეთერი, შურა, სონია, ერისტო, მურმანი, ივლინა, ნაომი, ოლეგი, გარი, ხატია, ტრიფონი, ჯაბა, „ჯენი“, „ჭიჭიკო“, მალაქია, ჯანიკო, სერგო, შორენა, ალიმი, „ხუგუნია“, „გუჯუ“, კახუნია, „ჯონჯოლა“, ბათლომე, დარისპანი, „შაკო“, ანო, სერგო, ვალოდია...**

მეტსახელებში გამოკვეთილია დიალექტური მახასიათებლები. მაგალითად: **ნინუცია, ჭიპიტია, შალია, დათია...**

გვხვდება სქესის აღმნიშვნელი აფიქსის მეშვეობით გარჩეული სახელებიც (იოანე-იოანა, ალექსანდრე-ალექსანდრა...).

ირკვევა კულტურათა ურთიერთობების შესახებ; მახასიათებლები, რომელთა მიხედვითაც არქმევდნენ საქართველოში მეტსახელებს; მეტსახელების გამოყენების სიხშირესთან ერთად იკვლევ ქრიასტიანობის მიერ შემოტანილი სახელების სიხშირეს.

ეპიტაფია წარმოდგენილია ასე: სახელი; სახელი, მეტსახელი და გვარი; მესტახელი.

ხშირად სახელები წარმოდგენილია ფუძის სახით, ფუძის სხვადასხვა მაწარმოებლით, რაც ქართული ენის მრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს.



ეწერის სასაფლაო




აჭარა. აჭყვისთავის სასაფლაო



დაფენილი



კეთილარი სასაფლაო



აჭარა




ქუთაისი ავანგარდის სასაფლაო


ხშირად სახელები კნინობით-ალერსობითი ფორმითაა (მაშიკო, მზიკო, ტასიკო, ოთიკო, მანჩო); გვხვდება საფლავის ქვები ხელმოწერით.



მუხიანის სასაფლაო



კეთილარის სასაფლაო



მარელისის სასაფლაო





აჭარა

ეპიტაფიის ხელმოწერაც პიროვნებისა და ხასიათის გამოხატულებაა, გარდაცვლილის ერთგვარი თვითგამოხატვის საშუალება; იკითხება გრძნობითი სიღრმე, სტილი და ა. შ.

ანთროპონიმული მოდელის წევრ სახელთა უცხოურად თარგმნის შესახებ.

კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში დამკვიდრდა რუსული წესის მსგავსად მამის სახელით მიმართვის შემთხვევები. დღეს კი აქტიურდება რუსულ-ინგლისურად წარწერის შემთხვევები.



ავანგარდის სასაფლაო



ლეჩხუმი



საფიჩხია

აფხაზეთი. სოფელი ოქუმი



▪ Family
Where life begins
and love never ends.

(ოჯახი
სადაც სიცოცხლე იწყება
და სიყვარული არასოდეს
მთავრდება.)

ზურბო ჭოხონელიძე
1990 – 2017 წწ.

ქუთაისი. გორა

დასკვნები. ეპიტაფიების კვლევა საშურად მიგვაჩნია იმდენად, რომ ისინი ყვებიან ჩვენი ქვეყნის ეთნიკურ-კულტურული ისტორიის შესახებ. ეპიტაფიები პირველწყაროა ქვეყნის მოცემული ეპოქის შესახებ. ეპიტაფიების მოძიება-კვლევის საქმე გასააქტიურებელია, ვინაიდან ბევრია მოუვლელი და მიტოვებული საფლავები, რომლების ეკონომიკური მდგომარეობის და პიროვნებათა შეცვლილი ფსიქოლოგიის გამო იკარგებიან, „საფლავის ქვებიც ახლებურდება“; იკარგება საფლავები ბუნებაში მიმდინარე პროცესების (დამეწყვრა, ...) გამო; შესაძლოა ბევრი მათგანი ადგილობრივ მშენებლობაში იქნას გამოყენებული. საფლავი შეიძლება შეეწიროს მაგალითად გზის მშენებლობას. ხალხისა, აქედან მთელი ერის საუკუნეობრივი, ყოველდღიური ცხოვრების მომთხრობი მოქადაგე ლოდები. საფლავის ქვები „დაუწერელი ისტორიის ქვის ფურცლებია“.

გამოყენებული ლიტერატურა:

- თაყაიშვილი, ე. (1907). *მასალანი სტატისტიკურის აღწერილობისა XVIII ს-ში*. გამოცემული ექვთიმე თაყაიშვილის რედაქტორობით. თბილისი.
- თოფჩიშვილი, რ. (2005). *ეთნოსტორიული ეტიუდები*. წ. I. თბილისი.
- თოფჩიშვილი, რ. (1997). *როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები*. თბილისი.
- კალაძე, ც. (1984). სახელ-მამისსახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში. *ქართული სიტყვის კულტურის საკითხები*. წიგნი მეექვსე. თბილისი.
- ნიშნაიანიძე, ო., კუპრაშვილი, ს., კეზევაძე, მ., თავბერიძე, ე., & წვერავა, ვ. (2022). *სასაფლაოები XIX საუკუნის ქუთაისში*. ქუთაისის და ქუთათისის ქვეყანა. ქუთაისი. *ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები*.
- ღუტიძე, ი. (2022). საკუთარ სახელთა უცხო ენაზე გადატანასთან დაკავშირებული პრობლემებისათვის. *საერთაშორისო ონომასტიკური კონფერენცია - ონომასტიკის თანამედროვე პრობლემები (კონფერენციის პროგრამა)*. ახალციხე.

- შომიაშვილი, ნ. (1980). *ქართული წარწერების კორპუსი*. ტ. I. (ნ. შომიაშვილი, შემდგენელი). თბილისი.
- ჭანტურია, ლ. (1997). *შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*. თბილისი.
- ჭინჭარაული, ა. (1987). ვაჟა-ფშაველას ზოგი პერსონაჟის საკითხისათვის. *ონომასტიკა*. I. თბილისი.
- Milewski, T. (1959). La comparaison des systèmes antroponymiques azteques et indoeuropees. *Onomastica*. 8, RocznikV, zeszyt.
- Раянди, Э. (1970). Имя и право. *Личные имена в прошлом, настоящем, будущем*. Москва
- Свод статистических данных о населения Закавказского края извлеченных из посемейных список 1886 г.* (1893). Тифлис.

REFERENCES:

- taqaishvili, e. (1907). *masalani st'at'ist'ik'uris aghts'erilobisa XVIII s-shi [Materials for the statistical description in XVIII century]*. Published under the editorship of Ekvtime Takaishvili. Tbilisi.
- topchishvili, r. (2005). *etnoist'oriuli et'iudebi [Ethno-historical essays]*. I. Tbilisi.
- topchishvili, r. (1997). *rodis ts'armoikmna kartuli gvarksakhelebi [Where did the Georgian names and surnames come from?]*. Tbilisi.
- k'aladze, ts. (1984). sakhel-mamissakhelobiti mimartvis shesakheb kartulshi [On personal patronymics in Georgian language]. *kartuli sit'qvis k'ult'uris sak'itkhebi [Issues of Georgian speech culture]*. VI. Tbilisi.
- nishnianidze, o., k'up'rashvili, s., k'ezevadze, m., tavberidze, e., & ts'verava, v. (2022). *sasaplaeobi XIX sauk'unis kutaishhi [Cemeteries in 19th century Kutaisi]*. kutaishi da kutatisi kveqana [Kutaisi and country of Kutaisi]. Kutaisi.
- kutaishi tsent'raluri arkivis masalebi [Materials of Kutaisi Central Archive]*.
- ghut'idze, i. (2022). sak'utar sakhelta utskho enaze gadat'anastan dak'avshirebuli p'roblemebisatvis [For the problems related to the transfer of proper names into a foreign language]. *saertashoriso onomast'ik'uri k'onperentsia - onomast'ik'is tanamedrove p'roblemebi (k'onperentsiis p'rograma) [Contemporary problems of onomastics (Conference Program)]*. Akhaltsikhe.
- shoshiashvili, n. (1980). *kartuli ts'arts'erebis k'orp'usi [The corpus of Georgian inscriptions]*. I. (N. Shoshiashvili, Compiler). Tbilisi.
- ch'ant'uria, l. (1997). *shesavali sakartvelos samokalako samartlis zogad nats'ilshi [Introduction to the general part of the civil law of Georgia]*. Tbilisi.
- ch'inch'arauli, a. (1987). vazha-pshavelas zogi p'ersonazhis sak'itkhisatvis [On the issue of some Vazha Pshavela's characters]. *onomast'ik'a [Onomastics]*. I. Tbilisi.
- Milewski, T. (1959). La comparaison des systèmes antroponymiques azteques et indoeuropees. *Onomastica*. 8, RocznikV, zeszyt.
- Rajandi, Je. (1970). Imja i pravo [Name and the right]. *Lichnye imena v proshlom, nastojashhem, budushhem [Personal names in the past, present and future]*. Moscow.
- Svod statisticheskikh dannyh o naselenija Zakavkazskogo kraija izvlechennih iz possemejnyh spisok 1886 g. [The statistical data set on the population of the Transcaucasian region extracted from family lists in 1886]*. (1893). Tiflis.